ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადგილობრივი თვითმმართველობა
მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA, CITY HALL OF MESTIA MUNICIPALITY

№ 1789 07/08/2019წ.

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ მაიზერ ჯაფარიძეს

ბატონო მაიზერ,

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის შესაბამისად ინკლუზიური ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია ტურიზმი, რომელიც ერთ - ერთი სწრაფად მზარდი სექტორს წარმოადგენს როგორც ქვეყანაში, ასევე ჩვენს რეგიონშიც.

ტურიზმის განვითარების საქმეში განუსაზღვრელია კულტურული ძეგლებისა და არქიტექტურული ობიექტების როლი, ამდენად უნდა განხორციელდეს მათი მისაწვდომობის, ცნობადობის და სხვა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ლენჯერის ტერიტორიულ ერთეულში მდებარე გეოგრაფიულ ობიექტები, რომელთა სახელდებასაც ითხოვენ ამავე თემის მცხოვრებელბი, მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ ობიექტებს წარმოადგენენ და იქიდან გამომდინარე, რომ როგორც უცხოელი ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივი სტუმრებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს ამ ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები თუ სხვა ღირსშესანიშნავი ობიექტები, საჭიროდ მიგვაჩნია მათთვის სახელის მინიჭება, კერძოდ:

საავტომობილო გზის მონაკვეთს, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო მნიშვნელობის ცენტრალურ მაგისტრალს და მისი საწყისი წერტილია მუხრან შუკვანის ქუჩის დასაწყისი, კოორდინატებით 310562; 4766764, ლენჯერის შემოსასვლელამდე (საბოლოო წერილის კოორდინატები 311403; 4767043), ეწოდოს ლეო ფილფანის სახელი.

აღნიშნული ქუჩა წარმოადგენს შემოსასვლელს და ამ გზით ხვდება ყველა დაინტერესებული პირი მესტიაში, ზედა ზონის სოფლებში, სათხილამურო კურორტებზე და ტურისტებისთვის საინტერესო სხვა ადგილებში. ამავე ქუჩის ორივე მხარეს ცხოვრობს მოსახლეობა და განთავსებულია საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, რომლებზეც სავარაუდოდ ტურიზმის განვითარების მზარდი ტემპებიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში განთავსდება საცხოვრებელი სახლები, საოჯახო და მაღალი კლასის სასტუმროები. იმისთვის, რომ წარმოვაჩინოთ თუ რატომ უნდა მიენიჭოს ლეო ფილფანის სახელი, გავიხსენოთ მისი ბიოგრაფია და განვლილი ცხოვრების დეტალები.

ლეო ფილფანი, საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, საზოგადო მოღვაწე, დაიბადა და გაიზარდა სოფელ ლენჯერში, საზოგადოებისთვის ერთერთ პატივსაცემ და ღირსეულ ოჯახში. ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიღებული აქვს მრავალი

ერთერთ საუკეთესო წარმომადგენელი, რომელთაც შექმნეს კინოსა და თეატრალური ხელოვნების დიდი ეპოქა და ამ პერიოდს ოქროს ხანასაც უწოდებენ.

მეორე ობიექტი, რომელსაც ასევე უნდა მიენიჭოს სახელი მდებარეობს ლენჯერის ტერიტორიულ ერთეულში, საწყისი წერტილია მუხრან შუკვანის ქუჩა (კოორდინატებით 312465; 4767606) გაივლის სოფელ ლაშთხვერს და მთავრდება სოფელ ქაშვეთის ბოლოში (საბოლოო წერტილი-კოორდინატებით 311937; 4766863). ამ ქუჩის ორივე მხარეზე ცხოვრობს მოსახლეობა და განთავსებულია საკარმიდამო მიწის ნაკვეთები.

სოფლები ლაშთხვერი და ქაშვეთი ცნობილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიმრავლით. აქ მდებარეობს ლაშთხვერის მთავარანგელოზის (თაარნგზელ), წმინდა გაბრიელ მთავარ ანგელოზის (მხერ) და მაცხოვრის ეკლესიები, ქაშვეთის წმ. გიორგის და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიები, მრავალი კოშკი, სვანური სახლი და კულტურული მემკვიდრეობის სხვა მნიშვნელოვანი ძეგლი. აღნიშნულ ძეგლებს მუდმივად სტუმრობენ, როგორც უცხოელი ტურისტები ასევე ქართველი დამთვალიერებლებიც. ამავე სოფლებში არის რამოდენიმე საოჯახო სასტუმრო და მათი რიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის რესურსი და პოტენციალიც არსებობს. მოსახლეობის თხოვნაა აღნიშნულ ობიექტს ეწოდოს შამილ ფილფანის სახელი.

შამილ ფილფანი უმაღლესი კატეგორიის დასტაქარი, ომის ვეტერანი, ღირსების ორდენის კავალერი, მინიჭებული ჰქონდა „საუკეთესო პროფესიონალი ექიმის“ წოდება, ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის საქმეში, შეტანილი უანგარო წვლილისთვის, ასევე ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და სიგელი, სხვადასხვა დროს არჩეული იყო სხვადსხვა არჩევით ორგანოში, მისი მუშაობისა და მოღვაწეობის შესახებ მუდმივად იბეჭდებოდა წერილები და ნარკვევები, როგორც ადგილობრივ ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა თუ საქართველოს ცენტრალურ პრესაში. აფხაზეთში ომის ბოლო დღემდე მუშაობდა ოჩამჩირის სამხედრო ჰოსპიტლის მთავარი ქირურგად.

აფხაზეთის ომის შემდგომ პერიოდში კი მოღვაწეობა განაგრძო მშობლიურ სვანეთში, მიუხედავად იმ დროის დუხჭირი და გაუსაძლისი პირობებისა სიცოცხლის ბოლომდე უანგაროდ ემსახურებოდა საკუთარ ხალხს.

მსგავსი ბიოგრაფიისა და ღირსეული წარსულის მქონე პიროვნებების სახელების მინიჭება გეოგრაფიული თუ სხვა სახის ობიექტებისათვის უკვდავყოფს მათ სახელებს და მათი ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითოდ რჩება მომავალი თაობებისთვის. ხოლო ობიექტისთვის სახელის მინიჭება კი უფრო ხელმისაწვდომს და ცნობადს ხდის ამ ობიექტს, რაც ტურიზმისა და ურბანული მოწყობის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

აღნიშნულიდან გამომდინარე შემოვდივართ ინიციატივით მოხდეს სახელწოდების არ მქონე ზემოთ მითითებული გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის მინიჭება.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

კაპიტონ ჟორჟოლიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

ინდ: 3200.დ. მესტია
სეტის მოედანი N–1
ვებგვერდი: www.mestia.ge
ტელ: +995 591 05 92 38
ელ. ფოსტა: gamgeobamestia@yahoo.com

ლაშქარაურ - ბაქვეთის გზა.